სილქნეტი
SILKNET

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

ქ.თბილისი 27 სექტემბერი 2023 წელი

ერთი მხრივ, „თბილისის განვითარების ფონდი“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. N20, საიდენტიფიკაციო ნომერი: 404384974 (შემდგომში „ფონდი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი პაპავას სახით

და მეორე მხრივ, სს „სილქნეტი“, სააქციო საზოგადოება შექმნილი და მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი: თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. N95, საიდენტიფიკაციო კოდი: 204566978 (შემდგომში „სილქნეტი“), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის დავით მამულაიშვილის სახით

ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

მემორანდუმი ფორმდება იმ მიზნით, რომ ქალაქ თბილისში, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში არსებულ კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლებსა და ისტორიულ-კულტურული ღირებულებით გამორჩეულ ობიექტებზე განთავსდეს ციფრული ინფორმაციის მატარებელი ფირნიშები, რომელთა საშუალებითაც ტურისტებსა და გამვლელებს ქართულ და ინგლისურ ენებზე შეეძლებათ ობიექტის შესახებ მოკლე ტექსტობრივი აღწერის, გრაფიკული მასალისა და საინფორმაციო მონაცემების გაცნობა.

მუხლი 2. პროექტის აღწერა

ქალაქ თბილისში, ისტორიული განაშენიანების დაცვის ზონაში თავმოყრილია მრავალი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი და ისტორიულ-კულტურული ღირებულებით გამორჩეულ ობიექტი, რომლებზეც „სილქნეტი“ გამოხატავს ნებას განათავსოს ციფრული ინფორმაციის მატარებელი ფირნიშები. კერძოდ, ტურისტები და გამვლელები ფირნიშებზე არსებული QR კოდის მობილური ტელეფონების საშუალებით დასკანერებით ქართულ და ინგლისურ ენებზე შეძლებენ ობიექტის შესახებ მოკლე ტექსტობრივი აღწერის, გრაფიკული მასალისა და საინფორმაციო მონაცემების გაცნობას. თავის მხრივ, ფირნიშებზე, გარდა QR კოდისა, დატანილი იქნება „სილქნეტის“ საფირმო სახელწოდება. ციფრულმა ინფორმაციამ ასევე შეიძლება ბმულის მეშვეობით გადაგამისამართოს „სილქნეტის“ პროდუქტებისა და შეთავაზებების ამსახველ ოფიციალურ ვებგვერდზე. „ფონდი“ პროექტის ხელშეწყობისათვის მზადყოფნას აცხადებს გადასცეს „სილქნეტს“ ობიექტების შესახებ მასთან დაცული ინფორმაცია და სხვა სახის დოკუმენტალური მასალა, მათ შორის, ძველი ფოტოსურათები და სხვა.

მუხლი 3. ფინანსური საკითხები

პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას სრულად თავის თავზე იღებს „სილქნეტი“.

მუხლი 4. პროექტის მართვის დეტალები

„სილქნეტი“ ფირნიშების განთავსებამდე ვალდებულია მიიღოს შესაბამისი ნებართვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურისგან.

მუხლი 5. მემორანდუმის მოქმედების ვადა

წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 6 (ექვსი) წლის ვადით.

მუხლი 6. მემორანდუმის შეწყვეტა

წინამდებარე მემორანდუმი შეიძლება შეწყდეს:

ა) თუ პროექტის განხორციელება არ დაიწყო წინამდებარე მემორანდუმის გაფორმებიდან 5 თვის განმავლობაში;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 7. მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა

მემორანდუმში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მხარეთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილება-დამატება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 8. დავის მოგვარება

მემორანდუმის ფარგლებში წარმოქმნილი დავის მოგვარება უნდა მოხდეს მხარეებს შორის შეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

მუხლი 9. მხარეთა ხელმოწერები

მემორანდუმი შედგენილია იურიდიული ძალის მქონე 4 (ოთხი) ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომელთაგან ორ-ორი გადაეცემათ მხარეებს. წინამდებარე მემორანდუმის პირობებზე შეთანხმების დასადასტურებლად მემორანდუმს ხელს აწერენ:

„თბილისის განვითარების ფონდის“ დირექტორი

გიორგი პაპავა

/ხელმოწერა/

სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორი

დავით მამულაშვილი

/ხელმოწერა/